რეგისტრირებულია დიდუბე-ჩუღურეთის
რაიონული სასამართლოს დადგენილებით

საქართველოს ოჯახის ექიმთა მასწავლებლების კავშირის წესდება

ქ.თბილისი
2003წ

საქართველოს ოჯახის ექიმთა მასწავლებლების კავშირის წესდება

1. **ზოგადი დებულებები**

1.1 საქართველოს ოჯახის ექიმთა მასწავლებლების კავშირი (შემდგომში "კავშირი") წარმოადგენს ოჯახის ექიმთა მასწავლებლების ნებაყოფილობით გაერთიანებას.

1.2 "კავშირი" საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, მომქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე წესდების მიხედვით.

1.3 "კავშირი" წარმოადგენს იურიდიულ პირს, მას შეუძლია თავისი სახელით დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს ქონება, იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოს არბიტრაჟსა და სამედიატორო სასამართლოში.

1.4 "კავშირი" მოქმედებს თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპით.

1.5 "კავშირის" საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

1.6 "კავშირი" საქართველოში არსებული კანონმდებლობის მიხედვით იურიდიული პირის უფლებებს იძენს ოფიციალური რეგისტრაციის მომენტიდან.

2. **კავშირის მიზანი და ამოცანები**

2.1 „კავშირის" მიზანია: საოჯახო მედიცინის ინსტიტუტისათვის მყარი აკადემიური საფუძვლების ჩამოყალიბებისა და მაღალი პროფესიული სტანდარტების შენარჩუნების ხელშეწყობა.

2.2 "კავშირის" ამოცანებია:

- საქართველოში ოჯახის ექიმთა პროფესიული საქმიანობის სტანდარტებისა და ნორმატივების შემუშავება, მათი პრაქტიკაში გამოყენების შედეგების ანალიზი და კონტროლი;
- ოჯახის ექიმთა საქმიანობის შესწავლა და, ამის საფუძველზე, მაღალი პროფესიული სტანდარტის შენარჩუნების მიზნით კონკრეტული გზების დასახვა;
- ოჯახის ექიმთა დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი პროფესიული წვრთნის პროგრამების მომზადებაში აქტიური მონაწილეობა და მათი პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა;
- ოჯახის ექიმებისათვის უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება;
- ოჯახის ექიმებისათვის უახლეს მეცნიერულ ფაქტებზე დამყარებული გაიდლაინების შემუშავება და მათი პრაქტიკული დანერგვის ხელშეწყობა;
- საოჯახო მედიცინის დარგში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დანერგვა. ამ გზით არსებული პრობლემების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად პრაქტიკული ღონისძიებების გეგმების შემუშავება, მათი ორგანიზაცია და

კოორდინაცია საქართველოს მოსახლეობის პირველადი სამედიცინო მომსახურეობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
- საოჯახო მედიცინის დარგში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებისა და უახლესი მიღწევების შესწავლა და მათი დანერგვა საქართველოს სამედიცინო პრაქტიკაში;
- საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საქართველოში საოჯახო მედიცინის განვითარების მიზნით;
- საგამომცემლო და სარეკლამო საქმიანობის წარმართვა საქართველოს მოსახლეობისა და მედიცინის მუშაკებისათვის საოჯახო მედიცინის შესახებ სამეცნიერო-პრაქტიკული და პოპულარული ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- საქართველოში ოჯახის ექიმთა პროფესიული უფლებებისა და ინტერესების დაცვა, აგრეთვე მათი პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა.

3. კავშირის უფლებამოსილებანი

3.1 თავისი ძირითადი მიზნების განსახორციელებლად კავშირი უფლებამოსილია:
- დაინტერესებულ ორგანიზაციათა ან კერძო პირთა დაკვეთით, ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოოს სამეცნიერო შრომებისა და სასწავლო პროგრამების შექმნა და ექსპერტიზა;
- დაიცვას კავშირის წევრთა კანონიერი უფლებანი;
- დააწესოს ჯილდოები და პრემიები სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის;
- ხელშეკრულების საფუძველზე დაამყაროს კონტაქტები სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებთან წესდებით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების მიზნით;
- აწარმოოს საინფორმაციო, საკონსულტაციო, სამეცნიერო-ტექნიკური, სარეკლამო საქმიანობა;
- გამოუშვას და გაავრცელოს თავისი ნაბეჭდი პროდუქცია: სპეციალიზებული სამეცნიერო ჟურნალები, გაზეთები, სასწავლო-მეთოდური მასალები, სიმპოზიუმებისა და სემინარების შრომები, სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენები;
- ორგანიზაცია გაუკეთოს და აწარმოოს საოჯახო მედიცინის დარგში სპეციალისტთა დიპლომისშემდგომი მომზადების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები;
- ჩამოაყალიბოს კავშირის რეგიონალური განყოფილებები.

4. კავშირის სტრუქტურა და მართვა

4.1 კავშირის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს **საერთო კრება,** რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც. საერთო კრების ჩატარების თარიღს განსაზღვრავს გამგეობის წევრთა ხმის უმრავლესობა. საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს წევრთა მესამედის წერილობითი მოთხოვნით და კრების დღის წესრიგის

მითითებით. Kსაერთო კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით კრებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

4.2 საერთო კრება უფლებამოსილია:

- დაამტკიცოს კავშირის წესდება და სხვა საპროგრამო დოკუმენტები, შეიტანოს ცვლილებები ადრე დამტკიცებულ საპროგრამო დოკუმენტებში;
- აირჩიოს კავშირის პრეზიდენტი, მოადგილეები, გამგეობის წევრები და სარევიზიო კომისია;
- დაამტკიცოს არჩევით ორგანოთა ანგარიშები და შეაფასოს მათი მუშაობა;
- დაამტკიცოს კავშირის საქმიანობის ფინანსური ანგარიში;
- გამგეობის ან კავშირის წევრთა ჯგუფების წარდგინებით განიხილოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;
- განიხილოს და დაამტკიცოს ცვლილებები კავშირის წესდებაში;
- მიიღოს გადაწყვეტილება კავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- კავშირის საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე მიიღება ორი მესამედის უმრავლესობით, ხოლო კავშირის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას სჭირდება ყველა წევრის ხმათა ოთხი მეხუთედი.

4.3 „კავშირის“ მმართველი კოლეგიალური ორგანოა გამგეობა, რომელიც აირჩევა „კავშირის“ წევრთა საერთო კრებაზე ერთი წლის ვადით.

4.4 „კავშირის“ გამგეობის **წევრთა რაოდენობა** განისაზღვრება 7 წევრის ოდენობით;

4.5 გამგეობის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა, სულ ცოტა, ორი მესამედი;

4.6 გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით;

4.7 „კავშირის“ გამგეობა ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ანხორციელებს `კავშირის~ ოპერატიულ და ადმინისტრაციულ მართვას;

4.8 თავმჯდომარის არჩევა ხდება ერთი წლის ვადით;

4.9 დასაშვებია „კავშირის“ თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოთ გამგეობის წევრებს როტაციული პრინციპით 6 თვის ვადით.

4.10 თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანია:

- გამგეობის მუშაობის ორგანიზაცია;
- გამგეობის წევრთა შორის მოვალეობების განაწილება;
- კავშირისა და მისი გამგეობის სახელით დოკუმენტებზე ხელის მოწერა;
- გამგეობასთან შეთანხმებით კავშირის ფულადი სახსრების ხარჯვის საკითხზე გადაწყვეტილებების მიღება;
- კავშირის სახელით ურთიერთობების და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმება;
- კავშირის წარმოდგენა ნებისმიერ ინსტანციაში;
- კავშირის აპარატის თანამშრომლების დანიშვნა და განთავისუფლება.

4.11 გამგეობა მოქმედებს `კავშირის" სახელით და წარმართავს მუშაობას კრებებს შორის პერიოდში

- იხილავს მორიგი და რიგგარეშე კრების მოწვევის საკითხს, კრების დღის წესრიგს;
- ანხორციელებს კრების დადგენილებას;
- ხელმძღვანელობს "კავშირის" საორგანიზაციო მუშაობას;
- განაგებს "კავშირის" ფინანსებს და სარგებლობს განმკარგულებლის უფლებით;
- წარმოადგენს "კავშირს" სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;
- თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით;
- ირჩევს "კავშირის" პასუხისმგებელ მდივანს და ხაზინადარს;
- გამგეობის შემადგენლობიდან რომელიმე წევრის სხვადასხვა მიზეზით გასვლის შემთხვევაში გამგეობას უფლება აქვს კოოპტაციის წესით შეიყვანოს ახალი წევრი;
- გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას "კავშირის" წევრად მიღებისა და გასვლის შესახებ;
- ადგენს საწევროების გადახდის წესსა და ოდენობას.

4.12 კავშირის სარევიზიო კომისია - ახორციელებს კონტროლს კავშირის საორგანიზაციო, სამედიცინო, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობაზე. სარევიზიო კომისია შედგება კავშირის 3 წევრისაგან. კავშირის საქმიანობის რევიზია წარმოებს აუცილებლობისამებრ, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ერთხელ. რევიზიის შედეგები გამგეობას და რიგგარეშე შემოწმების ჩატარების ინიციატორებს ეცნობებათ წერილობით. სარევიზიო კომისიის ანგარიში წარედგინება კავშირის მორიგ საერთო კრებას.

5. კავშირის წევრობა

5.1 კავშირის წევრი შეიძლება იყოს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, სპეციალობით `ოჯახის ექიმი~, რომელსაც გავლილი აქვს ოჯახის ექიმის მასწავლებლის პროფესიული მომზადების პროგრამა და მიღებული აქვს სათანადო სერტიფიკატი საქართველოში ან საზღვარგარეთ, რომელიც აღიარებს კავშირის წესდებას, უშუალოდ მონაწილეობს მისი მიზნისა და ამოცანების რეალიზაციაში და რეგულარულად იხდის საწევრო გადასახადებს.

5.2 კავშირში შესვლის მსურველი პირი განცხადებით მიმართავს კავშირის გამგეობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გამგეობის წევრთა ხმების უმრავლესობის საფუძველზე. Gგამგეობის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან განმცხადებელი ითვლება კავშირის წევრად. კავშირის წევრი იღებს გამგეობის მიერ რეგისტრირებულ მოწმობას.

5.3 კავშირის წევრს უფლება აქვს:

- აირჩიოს და არჩეული იქნას კავშირის ორგანოებში
- მიიღოს მონაწილეობა კავშირის მიერ გატარებულ ყველა ღონისძიებაში

- გამოიტანოს გამგეობის სხდომაზე განსახილველად ნებისმიერი საკითხი ან წინადადება, რომელიც შედის კავშირის კომპეტენციაში

5.4 კავშირის წევრი ვალდებულია:

- დაიცვას კავშირის წესდების მოთხოვნილებანი და იზრუნოს მისი პროგრამით გათვალისწინებული პრობლემების გადაჭრისათვის;
- თავისი მოღვაწეობით ხელი შეუწყოს კავშირის მიზნისა და ამოცანების განხორციელებას.

5.5 „კავშირი" არ აგებს პასუხს მათი წევრების ვალდებულებებისათვის და პირიქით.

5.6 „კავშირის" წევრს უფლება აქვს:

- აირჩიოს ან არჩეულ იქნას "კავშირის" ყველა არჩევით ორგანოში.
- „კავშირის" ნებისმიერი ორგანოს წინაშე დააყენოს საკითხი "კავშირის" ეგიდით სხვადასხვა ღონისძიებათაA ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ

5.7 „კავშირში" შესასვლელი წლიური და საწევრო გადასახადის ოდენობას განსაზღვრავს გამგეობა.

5.8 „კავშირში" გაწევრიანება და "კავშირიდან" გამოსვლა ნებაყოფილობითია.

5.9 „კავშირში" ამა თუ იმ პირის წევრობა წყდება შემდეგ შემთხვევაში:

- თვით წევრის სურვილისამებრ, რის შესახებაც მან წერილობით უნდა აცნობოს „კავშირის" გამგეობას.
- არასაპატიო მიზეზით ზემოაღნიშნული მოვალეობების სისტემატური შეუსრულებლობის შემთხვევაში საერთო კრების გადაწყვეტილებით იგი ჩაითვლება საზოგადოებიდან გასულად.
- „კავშირის" წევრი საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს „კავშირის" წესდების უხეში დარღვევის ან იმ მიზნებისა და ამოცანების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის, რისთვისაც შექმნილია "კავშირი"
- გარიცხულ წევრს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება სასამართლოში.

6. „კავშირის" საქმიანობის მატერიალური სახსრები

6.1 „კავშირის" ფინანსური სახსრები შედგება „კავშირის" წევრთა საწევრო შესატანებისა და `კავშირის" მიერ ჩატარებული სხვა ღონისძიებათა შემოსავლებისაგან, აგრეთვე შემოწირული თანხებისაგან.

6.2 „კავშირის" საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება, რაც საჭიროა მისი საწესდებო საქმიანობის განსახორციელებლად.

7. „კავშირის~ სამეწარმეო საქმიანობა

7.1 „კავშირის" უფლება აქვს განახორციელოს კანონით ნებადართული ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ატარებს დამხმარე ხასიათს და ემსახურება

„კავშირის“ საერთო მიზანს. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება კავშირის წევრებს შორის დაუშვებელია.

7.2 „კავშირი“ განახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3 „კავშირის“ სამეურნეო წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.

8. „კავშირის“ ლიკვიდაცია

8.1 ლიკვიდაცია ხდება: „კავშირის“ საერთო კრების გადაწყვეტილებით მიზნის მიღწევის შედეგად გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.2 „კავშირის“ ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება საერთო კრების გადაწყვეტილებით მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3 „კავშირის“ ლიკვიდაცია დასრულებულად, ხოლო საქმიანობა შეწყვეტილად ითვლება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

კავშირის დამფუძნებლები:

1. ქაროსანიძე ირინა დაბ.: 4.08.56. ქუთაისი, მცხ. ნინოშვილის 24ბ, შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის“ დირექტორი, ოჯახის ექიმი
2. გაბუნია თამარი დაბ.: 07.11.1969. მცხ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #39 ბ.56 ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის ოჯახის ექიმთა გადამზადების სასწავლო პროგრამის კოორდინატორი, ოჯახის ექიმის მასწავლებელი
3. შიხაშვილი მარინა 16.08.1956 მოსაშვილის ქ. #9 ტელ: 226494 #9 ბავშვთა პოლიკლინიკის დირექტორი, ოჯახის ექიმთა მასწავლებელი
4. გემაზაშვილი ეკა, #9 ბავშვთა პოლიკლინიკის, ოჯახის ექიმთა მასწავლებელი
5. ფაღავა ეკა - #9 ბავშვთა პოლიკლინიკის, ოჯახის ექიმთა მასწავლებელი
6. შალამბერიძე ლუიზა - ს.ჩიქოვანის 20 ბ .93. #28 მოზრდილთა პოლიკლინიკის დირექტორი, ოჯახის ექიმთა მასწავლებელი
7. ყურაშვილი ნინო - მცხეთის ქ. #8 290256 #28 მოზრდილთაპოლიკლინიკა_ოჯახის ექიმი
8. გოგოლაძე დავითი - 02.01.1959ხაშური აღმაშენებლის გამზრ. 124 ტელ: 951226 პირველი სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი_ოჯახის ექიმი
9. ჯაჯანიძე ეთერი, დაბ.: 01.02.1949 მცხ.: გლდანი III მკრ-ნი, I კორპუსი, ბინა 23 ტელ: 689482 საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი_ოჯახის ექიმი
10. ჯაჯანიძე ნათელა, დაბ.: 02.01.1953 მცხ.: ვაზისუბნის დასახლება - კორპუსი 18, ბინა საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი_ოჯახის ექიმი
11. ჩერქეზიშვილი მარეხი - მცხ.: რ. დავითაშვილის ქ. #39 ტელ: 962214 საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი_ოჯახის ექიმი

12. კუჭავა დავითი, დაბ.: 08.01.1960, მცხ.: თბილისი ი.აბაშიძის ქ. #3 222707 საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი_ოჯახის ექიმის მასწავლებელი
13. ოდოშაშვილი ვარა - საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი_ოჯახის ექიმის მასწავლებელი
14. შენგელია ნატო - მცხ.: დოლიძის ქ. 41 ტელ: 331130, #28 მოზრდილთა პოლიკლინიკის საოჯახო მედიცინის განყოფილება, ოჯახის ექიმის მასწავლებელი
15. სუპატაშვილი მარიამი - მცხ.:ატენის ქ. #20 ბ.38; #28 მოზრდილთა პოლიკლინიკის საოჯახო მედიცინის განყოფილება, ოჯახის ექიმის მასწავლებელი
16. რუსიშვილი იამზე - #28 მოზრდილთა პოლიკლინიკის ოჯახის ექიმის მასწავლებელი
17. ჩიტაიშვილი რუსუდანი - სააქციო საზოგადოება "ვერე-XXI" ოჯახის ექიმის მასწავლებელი